თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

# “სწავლის შედეგები”

## საკონსულტაციო შეხვედრა-პრეზენტაცია

16 მაისი, 2008 წელი

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

## ხშირად დასმული კითხვები:

- რა არის “სწავლის შედეგები”?
- ვინ და რა გვავალდებულებს “სწავლის შედეგების” მითითებას?
- რატომ არის მნიშვნელოვანი “სწავლის შედეგები”?
- სად შეიძლება მოვიპოვოთ ინფორმაცია “სწავლის შედეგების” შესახებ?
- სად შეიძლება ვნახოთ სწავლის “შედეგების ნიმუშები”?

## რა არის "სწავლის შედეგები"? (1)

- **TUNING -** თუნინგი, საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში, უნივერსიტეტების წვლილი ბოლონიის პროცესში, 2005 (წ.)

- თუნინგის პროექტის მიერ გამოყენებული ტერმინების ლექსიკონის შესწორებული ვერსია, 2006 წლის ნოემბერი

## რა არის “სწავლის შედეგები”? (2)

- სწავლის შედეგები აკადემიური პერსონალის მიერ გაკეთებული განაცხადია იმის შესახებ, თუ *რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და/ან რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს* სტუდენტს სწავლის პროცესის დასრულების შემდეგ.

- სწავლის შედეგებს თან უნდა ახლდეს *შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები,* რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნება იმის დადგენა, მიღწეულ იქნა თუ არა სწავლის მოსალოდნელი შედეგები.

## რა არის “სწავლის შედეგები”? (3)

- სწავლის შედეგები შეფასების კრიტერიუმებთან ერთად განსაზღვრავს კრედიტის მინიჭების მოთხოვნებს. ნიშანი კი ეფუძნება კრედიტის მისაღებად განსაზღვრული მოთხოვნების მიღწევას.

- კრედიტების აკუმულაცია და ტრანსფერი ადვილდება, თუ მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები იმ მიღწევების აღსანიშნავად, რისთვისაც კრედიტები გაიცემა.

## რა არის “კომპეტენცია”? (1)

- კომპეტენცია არის კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარების, ცოდნისა და გაცნობიერების, ინტერპერსონალური, ინტელექტუალური და პრაქტიკული უნარებისა და ეთიკური ღირებულებების დინამიური კომბინაცია.

## რა არის “კომპეტენცია”? (2)

- კომპეტენციების გამომუშავება ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია. კომპეტენცია ყალიბდება ყველა კურსის ერთეულის / მოდულის ფარგლებში და სხვადასხვა ეტაპზე ფასდება. კომპეტენციები იყოფა დარგთან დაკავშირებულ (დარგისათვის სპეციფიკური) და ზოგად კომპეტენციად (რომელიც ტრანსფერულია, საერთოა ყველა სფეროსთვის). ჩვეულებრივად კომპეტენციების განვითარება ხდება ინტეგრირებულად და ციკლურად მთელი პროგრამის განმავლობაში.

## თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

### რა არის “სტუდენტის შეფასება”? (1)

- სტუდენტის წარმატების შესამოწმებლად კურსის ერთეულის ან მოდულის ფარგლებში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა. ეს მეთოდები ჩვეულებრივად მოიცავს წერით, ზეპირ, ლაბორატორიულ/პრაქტიკულ, ტესტებს/გამოცდებს, პროექტს ან პორტფოლიოს.

## თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

### რა არის "სტუდენტის შეფასება"? (2)

- შეფასება შეიძლება გამოიყენოს თვით სტუდენტმა საკუთარი წარმატების შესამოწმებლად და გასაუმჯობესებლად (მაფორმირებელი შეფასება) ან უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ იმის დასადგენად, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სწავლის დასახულ მიზნებს კურსის ერთეულის ან მოდულის ფარგლებში (შემაჯამებელი შეფასება).

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

**ვინ და რა გვავალდებულებს "სწავლის შედეგების" მითითებას და რატომ არის მნიშვნელოვანი "სწავლის შედეგები"?**

- ბოლონიის პროცესი;
- რეფორმა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში;
- პროგრამული აკრედიტაცია;
- ხარისხის უზრუნველყოფა.

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

სად შეიძლება მოვიპოვოთ ინფორმაცია
“სწავლის შედეგების” შესახებ და
სად შეიძლება ვნახოთ “სწავლის შედეგების” ნიმუშები?

https://learningoutcomes.byu.edu/wiki/index.php/Expected_Learning_Outcomes%2C_Evidence_and_Assessment

http://www.ssdd.bcu.ac.uk/outcomes/

http://www.league.org/league/projects/lcp/lcp3/Learning_Outcomes.htm

http://www.bced.gov.bc.ca/irp/lo.htm

http://www.bced.gov.bc.ca/irp/lo.htm

http://www.acu.edu/academics/adamscenter/resources/coursedev/syllabus/verbs.html

http://www.ssdd.bcu.ac.uk/outcomes/

http://www.ncgia.ucsb.edu/giscc/units/format/outcomes.html

http://www.bced.gov.bc.ca/irp/lo.htm

http://www.kn.sbc.com/wired/fil/pages/listlearningjo3.html

## თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

### “სწავლის შედეგები” და მისი კომპონენტები

- სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ *რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს* ამ ცოდნის გამოყენებით გრძელვადიანი ან მოკლევადიანი სასწავლო პროცესის დასრულების შედეგად.

- სწავლის შედეგები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ა) *ცოდნა და გაცნობიერება*; ბ) *ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება*; გ) *ზოგადი უნარები/კომპეტენციები*.

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით: | სწავლება, სწავლა და შეფასება |
| I. ცოდნა და გაცნობიერება<br><br>⌗ განისაზღვრება დარგობრივ სფეროში დასაუფლებელი ცოდნა | ⌗ აუცილებელია სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების დაკავშირება სწავლის შედეგებთან. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი უნარის გამომუშავებისთვის აუცილებელია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდის დანერგვა და არა სპეციალური საგნის/მოდულის შემუშავება.<br>⌗ სწავლების შედეგების შესაბამისად უნდა მიეთითოს შეფასების ფორმებიც.<br>⌗ ისეთი კომპეტენცია, როგორიცაა "დროის ორგანიზების უნარი" ფორმალურად არ ფასდება. |

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

| საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით: | სწავლება, სწავლა და შეფასება |
|---|---|
| II. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები<br>▪ განისაზღვრება ყველა ის პრაქტიკული უნარი, რომელიც აუცილებელია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის | |

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით: | სწავლება, სწავლა და შეფასება |
| III. ზოგადი/ტრანსფერული უნარები<br>▪ ტრანსფერული უნარები აუცილებელია სტუდენტის უკეთ მოსამზადებლად საზოგადოებაში მისი მომავალი როლისთვის, რაც წარმატებულ მოქალაქედ ჩამოყალიბებისა და დასაქმების უკეთეს შესაძლებლობაში გამოიხატება. | |

## თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

### ზოგადი / ტრანსფერული უნარები (1)

- კოგნიტური უნარები, იდეებისა და აზრების გაგებისა და მანიპულირების შესაძლებლობა: ანალიზისა და სინთეზის უნარი;

- გარემოთი მანიპულირების მეთოდოლოგიური უნარები: სწავლის სტრატეგიისა და დროის ორგანიზება (დაგეგმვის და ორგანიზების უნარი); გადაწყვეტილების მიღება და პრობლემების გადაჭრა;

## ზოგადი / ტრანსფერული უნარები (2)

- ტექნოლოგიური უნარები: ტექნოლოგიური მოწყობილობების, გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებისა და ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი (სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღებისა და ანალიზის უნარი);

- ლინგვისტური უნარები, ისეთი როგორიცაა: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე; მეორე ენის ცოდნა;

## ზოგადი / ტრანსფერული უნარები (3)

- სოციალური უნარები, რომლებიც დაკავშირებულია ინტერპერსონალურ ურთიერთობებთან; ჯგუფური მუშაობა; ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის უნარი; სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის გამოხატვა.

- სისტემური უნარები: სწავლის უნარი, ახალ სიტუაციაში ადაპტირების უნარი, დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; პროექტის შემუშავება და მართვა;

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

## ზმნები, რომლებიც ინგლისურენოვან პროგრამებში სწავლის შედეგების მითითებისას გამოიყენება:

- ***This list of verbs (adapted from Jerrold Kemp's "Shopping List of Verbs) is arranged according to Bloom's Taxonomy of Learning. Use this list to help you express distinct performance expectations you have of your students. In general, cognitive competency in a field begins with knowledge level learning and advances up the taxonomy to comprehension, application, and then the higher order skills involved in analysis, synthesis, and evaluation or problem solving.***

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

| **Knowledge** | **Comprehension** | **Application** |
|---|---|---|
| arrange | characterize | administer |
| define | classify | apply |
| duplicate | complete | calculate |
| know | depict | choose |
| label | describe | compute |
| list | discuss | conduct |
| match | establish | demonstrate |
| memorize | explain | dramatize |
| name | express | employ |
| order | identify | implement |
| quote | illustrate | interpret |
| recognize | locate | operate |
| recall | recognize | perform |
| repeat | report | practice |
| reproduce | relate | prescribe |
| restate | review | roleplay |
| retain | sort | sketch |
| | translate | solve |

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

| Analysis | Synthesis | Evaluation |
|---|---|---|
| analyze | combine | appraise |
| appraise | compose | argue |
| categorize | consolidate | assess |
| compare | construct | critique |
| contrast | create | defend |
| critique | design | envision |
| diagram | formulate | estimate |
| differentiate | hypothesize | evaluate |
| discriminate | integrate | examine |
| distinguish | merge | grade |
| examine | organize | inspect |
| experiment | plan | judge |
| explore | propose | justify |
| inventory | synthesize | rank |
| investigate | systematize | rate |
| question | theorize | review |
| research | unite | value |
| test | write | |

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

## “სწავლის შედეგების” ნიმუშები

- კარდიფის უნივერსიტეტის სასწავლო კურსი: “დრამა და ათენური დემოკრატია”
- თსუ სასწავლო კურსი: “ძველი ბერძენი ავტორი ჰომეროსი”
- პროფესიული უმაღლესი პროგრამა: “სასტუმროსა და რესტორნის მენეჯმენტი” (გამოყენებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტის, ქ-ნ ლალი ბაქრაძის ტრენინგის მასალა)
- სწავლის შედეგების რუკა

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

## “სწავლის შედეგების” ნიმუში I
## (სილაბუსის ფრაგმენტი)

[http://www.cardiff.ac.uk/hisar/currentstudents/ancienthistory/undergradmodulesyear2-3/module-HS3368.html](http://www.cardiff.ac.uk/hisar/currentstudents/ancienthistory/undergradmodulesyear2-3/module-HS3368.html)

- სასწავლო კურსის დასახელება: დრამა და ათენური დემოკრატია
- სასწავლო კურსის კოდი: HS3368
- სასწავლო კურსის სტატუსი: არჩევითი ძველი მსოფლიოს ისტორიის აკადემიური პროგრამებისთვის
- სასწავლო კურსის ხანგრძლივობა: ერთი სემესტრი, 20 ლექცია და 4 სემინარი
- კრედიტების რაოდენობა: 20 ბრიტანული კრედიტი (10 **ECTS**)

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- ლექტორი: ნიკ ფიშერი (კარდიფის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი, 151-ე ადგილი მსოფლიო უნივერსიტეტების კლასიფიკაციაში, 57-ე ევროპაში, მე-16 დიდ ბრიტანეთში)
- სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები: შესავალი ძველი საბერძნეთის ისტორიაში **(HS3101).** თავად ამ კურსს არც ერთი სხვა კურსი არ ეფუძნება.
- შეფასება: ერთი რომელიმე წყაროს კრიტიკა (15 %), ერთი ესე (35 %), ერთი ორსაათიანი გამოცდა (50 %)

## თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- სასწავლო კურსის მიზანი: ძირითადი ათენური სახალხო ფესტივალების, დიონისეს და განსაკუთრებით ქალაქ დიონისიას დრამატული ფესტივალების ფუნქციის დეტალური შესწავლა; ძვ. წ. ა. V საუკუნის პიესების ანალიზი ამ ფესტივალების კონტექსტში; ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს მითოლოგიური ტრაგედიების შესაბამისობის შესწავლა ათენის რეალობასთან;

## თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- არისტოფანეს იმ კომედიების შეფასება, რომლებშიც პოლიტიკური და სოციალური სატირა ერწყმის ფანტაზიას, იუმორსა და პოეზიას; ანალიზი იმისა, თუ მსოფლიო დრამის ეს ძირითადი ნაწარმოებები, რომლებიც დღემდე იდგმება, როგორ იდგმებოდა და გაიაზრებოდა მათ ისტორიულ კონტექსტში და მონაწილეობდა იმ დროის პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური და ფილოსოფიური პრობლემების განხილვაში.

**სწავლის შედეგები (ნიმუში I):**
**ცოდნა და გაცნობიერება**
**(Knowledge and Understanding)**

- მეხუთე საუკუნის რამდენიმე ათენური ტრაგედიისა და კომედიის, ათენში დრამატული ფესტივალების ბუნებისა და ფუნქციის ცოდნა;
- პიესების დრამატული აუდიტორიის ბუნების გააზრება და გაცნობიერება იმისა, თუ როგორ ახდენდნენ ამ პიესების ინტერპრეტაციას სოციალური იდენტობიდან, ასაკიდან, სქესიდან, ათენური თუ ბერძნული წარმომავლობიდან გამომდინარე;
- ამ პიესათა ძირითადი პრობლემატიკის გააზრება ისტორიულ კონტექსტში და თანამედროვე დისკუსიების შუქზე.

## სწავლის შედეგები (ნიმუში I):

### პრაქტიკული უნარები
### (Practical Skills)

- ლიტერატურული და არქეოლოგიური მასალის სათანადო წესით გამოყენების უნარი.

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

სწავლის შედეგები (ნიმუში I):
ზოგადი / ტრანსფერული უნარები:
**(Transferable Skills)**

ინტელექტუალური უნარები
**(Intellectual Skills)**

- ლიტერატურული ტექსტების ყურადღებით კითხვისა და მათ ისტორიულ კონტექსტში ინტერპრეტაციის უნარი;
- ლიტერატურულ, არქეოლოგიურ, ეპიგრაფიკულ და იკონოგრაფიულ მასალასთან (მტკიცებულებებთან) ამ ტექსტების შედარების უნარი;
- ამ პიესების თანამედროვე სცენური ინტერპრეტაციების შეფასების უნარი;

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

## სწავლის შედეგები (ნიმუში I):
## ზოგადი / ტრანსფერული უნარები:
## (Transferable Skills)

- საკამათო საკითხებზე დისკუსიის, თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების საშუალებით, მკაფიოდ და კორექტულად კამათის უნარი;
- პიესებისა და მათი თანამედროვე სცენური ინტერპრეტაციების შესახებ ჯგუფურ განხილვაში მონაწილეობის, რელევანტური შეკითხვების დასმის, სხვა სტუდენტებთან თანამშრომლობის უნარი.

## თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

### “სწავლის შედეგების” ნიმუში II
### (სილაბუსის ფრაგმენტი)

- სასწავლო კურსის დასახელება: ძველი ბერძენი ავტორი ჰომეროსი
- სასწავლო კურსის კოდი: X
- სასწავლო კურსის სტატუსი: კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, სავალდებულო
- სასწავლო კურსის ხანგრძლივობა: ერთი სემესტრი, 1 ლექცია, 3 პრაქტიკუმი
- კრედიტების რაოდენობა: **5 ECTS**

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- ლექტორი: ირინე დარჩია (თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ასოც. პროფ.)
- სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები: ძველი ბერძნული ენა III
- სასწავლო კურსის მიზანი: ძველ ბერძნულ ენასა და ლიტერატურაში სტუდენტის ცოდნის გაღრმავება, ბერძნული დიალექტოლოგიის, ლექსთწყობისა და ჰომეროლოგიის საფუძვლების დაუფლება.

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- შეფასება:

დასწრება: 5 %

პრაქტიკუმი: 20 %

კოლოქვიუმი I: 5 % (ჰომეროლოგიის ერთი საკითხი):

კოლოქვიუმი II: 5 % (50 სტრიქონის თარგმნა, კომენტირება)

პრეზენტაცია: 15 % (საკითხის ცოდნა 5, კითხვებზე პასუხის გაცემა 5, მეტყველება, პრეზენტაციის ვიზუალური მხარე 5)

რეცენზია: 10 %

საბოლოო კომბინირებული გამოცდა (წერა-ზეპირი): 40 % (ზეპირი: უცნობი 20 სტრიქონის წაკითხვა დაქტილური ჰექსამეტრით 10, წერა: 100 სტრიქონის თარგმნა, კომეტირება 15, ჰომეროლოგიის ერთი საკითხი 15)

სულ: 100 %

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

**სწავლის შედეგები (ნიმუში II):**
**ცოდნა და გაცნობიერება**
**(Knowledge and Understanding)**

- იონიური (ეპიკური) დიალექტის საფუძვლების შესწავლა;
- ბერძნული ლექსთწყობის საფუძვლების, კერძოდ, დაქტილური ჰექსამეტრის ცოდნა;
- ჰომეროლოგიის ძირითადი პრობლემატიკის გააზრება;
- ჰომეროსის ეპოსის კვლევის თანამედროვე მდგომარეობის გაცნობა;
- ჰომეროსის "ილიადის" კინოვერსიის - "ტროას" - გაცნობა.

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

## სწავლის შედეგები (ნიმუში II):

### ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები (Practical Skills)

- იონიურ (ეპიკურ) დიალექტზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების ლექსიკონის დახმარებით კითხვის უნარი;
- იონიურ (ეპიკურ) დიალექტზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების ლექსიკონის დახმარებით თარგმნისა და კომენტირების უნარი;
- დაქტილური ჰექსამეტრით კითხვის უნარი;

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

## სწავლის შედეგები (ნიმუში II): ზოგადი / ტრანსფერული უნარები: **(Transferable Skills)**

- კოგნიტური უნარები: ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიაში მონაწილეობის, აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის, რეცენზიის წერის უნარი;
- ტექნოლოგიური უნარები: ინტერნეტ-რესურსების გამოყენება, **power-point**-ში პრეზენტაციის მომზადება;
- ლინგვისტური უნარები: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე;
- სისტემური უნარები: დამოუკიდებლად მუშაობის უნარი.

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

| ცოდნა და გაცნობიერება | სწავლება, სწავლა და შეფასება |
|---|---|
| ▪ იონიური (ეპიკური) დიალექტის საფუძვლების შესწავლა; | ▪ პრაქტიკუმი, კოლოქვიუმი, საბოლოო გამოცდა (წერა) |
| ▪ ბერძნული ლექსთწყობის საფუძვლების, კერძოდ, დაქტილური ჰექსამეტრის ცოდნა; | ▪ პრაქტიკუმი, საბოლოო გამოცდა (ზეპირი) |
| ▪ ჰომეროლოგიის ძირითადი პრობლემატიკის გააზრება; | ▪ პრეზენტაცია, კოლოქვიუმი, საბოლოო გამოცდა (წერა) |
| ▪ ჰომეროსის ეპოსის კვლევის თანამედროვე მდგომარეობის გაცნობა; | ▪ პრეზენტაცია, კოლოქვიუმი, საბოლოო გამოცდა (წერა) |
| ▪ ჰომეროსის “ილიადის” კინოვერსიის - “ტროას” გაცნობა და შეფასება. | ▪ რეცენზია |

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები | სწავლება, სწავლა და შეფასება |
|---|---|
| ⌗ იონიურ (ეპიკურ) დიალექტზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების ლექსიკონის დახმარებით კითხვის უნარი;<br>⌗ იონიურ (ეპიკურ) დიალექტზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების ლექსიკონის დახმარებით თარგმნისა და კომენტირების უნარი;<br>⌗ დაქტილური ჰექსამეტრით კითხვის უნარი; | ⌗ პრაქტიკუმი, კოლოქვიუმი, საბოლოო გამოცდა (წერა)<br>⌗ პრაქტიკუმი, კოლოქვიუმი, საბოლოო გამოცდა (წერა)<br>⌗ პრაქტიკუმი, საბოლოო გამოცდა (ზეპირი) |

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

| ზოგადი / ტრანსფერული უნარები | სწავლება, სწავლა და შეფასება |
|---|---|
| ⌗ კოგნიტური უნარები: ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიაში მონაწილეობის, აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის, რეცენზიის წერის უნარი; | ⌗ პრეზენტაცია, კოლოქვიუმი, რეცენზია |
| ⌗ ტექნოლოგიური უნარები: ინტერნეტ-რესურსების გამოყენება, **power-point**-ში პრეზენტაციის მომზადება; | ⌗ პრეზენტაცია |
| ⌗ ლინგვისტური უნარები: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე; | ⌗ რეცენზია, საბოლოო გამოცდა (წერა) |
| ⌗ სისტემური უნარები: დამოუკიდებლად მუშაობის უნარი | ⌗ პრეზენტაცია, რეცენზია |

## შეფასების ფორმები:

- დასწრება: 5 %
- პრაქტიკუმი: 20 %
- კოლოქვიუმი I: 5 % (ჰომეროლოგიის ერთი საკითხი):
- კოლოქვიუმი II: 5 % (50 სტრიქონის თარგმნა, კომენტირება)
- პრეზენტაცია: 15 % (საკითხის ცოდნა 5, კითხვებზე პასუხის გაცემა 5, მეტყველება, პრეზენტაციის ვიზუალური მხარე 5)
- რეცენზია: 10 %
- საბოლოო კომბინირებული გამოცდა (წერა-ზეპირი): 40 % (ზეპირი: 20 უცნობი სტრიქონის წაკითხვა დაქტილური ჰექსამეტრით 10, წერა: 100 სტრიქონის თარგმნა, კომეტირება 15, ჰომეროლოგიის ერთი საკითხი 15)
- სულ: 100 %

## თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

### “სწავლის შედეგების” ნიმუში III

(გამოყენებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტის, ქ-ნ ლალი ბაქრაძის ტრენინგის მასალა)

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: X
- პროფესიული უმაღლესი პროგრამის დასახელება: სასტუმროსა და რესტორნის მენეჯმენტი
- კვალიფიკაცია: სასტუმროსა და რესტორნის მენეჯმენტის დიპლომირებული სპეციალისტი
- პროგრამის მოცულობა: 125 კრედიტი

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- პროგრამის მიზანი:

მიეცეს სტუდენტებს ის ცოდნა და უნარები, რომელიც უზრუნველყოფს მას სასტუმროსა და რესტორნის ბიზნესში დასაქმების მრავალფეროვანი შესაძლებლობით;

განუვითაროს ის უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლისა და წარმატებული კარიერისათვის;

გაითვალისწინოს დამსაქმებლების მოთხოვნები, რათა გაამდიდროს სტუდენტების სასწავლო გამოცდილება;

უზრუნველყოს როგორც დასაქმების, ასევე სურვილის შემთხვევაში შესაბამისი სპეციალობით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;

უზრუნველყოს სწავლებისა და სწავლის მაღალი ხარისხი.

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- სწავლის შედეგები:

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით | სწავლება, სწავლა და შეფასება |
| I. ცოდნა და გაცნობიერება<br><br>1.1. ბიზნესისათვის აუცილებელი რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების ცოდნა;<br>1.2 იმ ძირითადი თეორიების, კონცეფციების, პრინციპების ცოდნა და მათი ძირითადი არსის გაცნობიერების დემონსტრირება, რომელიც საფუძვლად უდევს სასტუმროსა და რესტორნის მენეჯმენტს; | 1.1. და 1.6. ცოდნის შეძენა ხორციელდება ლექციებისა და სავარჯიშო/პრაქტიკული კლასების (მცირე ჯგუფების) მეშვეობით;<br>1.2, 1.3, 1.4, 1.5 და 1.7-ის შეძენა ხორციელდება ლექციების, კონსულტაციების, სემინარების, საკურსო სამუშაოების, “ქეისების” ანალიზისა და პროექტების კომბინირებით მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში; |

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1.3. რესურსების, საქონლისა და სამომხმარებლო ბაზრები; სასტუმროსა და რესტორნის მომხმარებლების მომსახურების ძირითადი პრინციპების გაცნობიერება;

1.4. ბიზნეს-გარემოზე სხვადასხვა გავლენების იდენტიფიცირებისა და შეფასების ცოდნა; რესურსების მდგრადი განვითარებისათვის სტრატეგიული მენეჯმენტის ძირითადი პრინციპების ცოდნა;

1.5. მორალურ, ეთიკურ, გარემოსდაცვით და სამართლებრივი საკითხების ცოდნა და გაცნობიერება, რომელიც საფუძველს უქმნის რესტორნისა და სასტუმროს ბიზნესის წარმატებულ საქმიანობას;

შეფასება:

1.1. წერითი და/ან ზეპირი გამოცდა;

1.2, 1.3, 1.4, 1.5, 1.6 და 1.7-სათვის ზეპირ გამოცდასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მრავალჯერადი არჩევანის ტესტებს, პრეზენტაციას, ჯგუფური პროექტის ანგარიშს და "ქეისების" ანალიზს (წერითი და ზეპირი).

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

| | |
|---|---|
| 1.6. აღრიცხვის ძირითადი ტექნიკისა და ტერმინოლოგიის ცოდნა; ბიზნესის ერთეულის საქმიანობაში აღრიცხვის ფუნქციისა და მნიშვნელობის ცოდნა;<br>1.7. მეწარმეობის საფუძვლებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის ორგანიზების პრინციპების ცოდნა. | |

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

| | |
|---|---|
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები<br><br>2.1. სასტუმროსა და რესტორნის ბიზნესის ძირითადი ოპერაციების (სტუმრის მიღება, განთავსება, მომსახურება, ასევე შესყიდვები) მართვა;<br>2.2. კონკრეტულ ოპერაციებთან დაკავშირებული პრაქტიკული საქმიანობის დაგეგმვა და აღსრულება შესაბამისი პროცედურებისა და პრინციპების გამოყენების საფუძველზე;<br>2.3. სამომხმარებლო ბაზრის განსაზღვრა; მომხმარებლის საჭიროებების შესწავლა; | 2.1, 2.2, 2.3, 2.6 და 2.7 უნარების გამომუშავებისთვის ლექციების პარალელურად დიდ ადგილს იკავებს სემინარები, პრაქტიკა და ჯგუფური პროექტები;<br><br>2.4-2.5 უნარების განვითარებისთვის აუცილებელია პრაქტიკული კლასები და სწავლება და კომპიუტერული სიმულაციური პროგრამებით. |

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

| | |
|---|---|
| 2.4. ფინანსური და სხვა სააღრიცხვო მონაცემების დამუშავება, დანახარჯების ანალიზი;<br>2.5. სასტუმროსა და რესტორნის ბიზნესისათვის რელევანტური საინფორმაციო ბაზების გამოყენება;<br>2.6. პროფესიული ინფორმაციის იდენტიფიცირება, მოგროვება, ანალიზი და გადაწყვეტილების არგუმენტირება;<br>2.7. სასტუმროსა და სარესტორნო ბიზნესთან დაკავშირ4ებული ეთიკური, უსაფრთხოებისა და ჰიგიენური ნორმების გამოყენება; | შეფასება:<br>2.1, 2.2, 2.3, 2.6, 2.7 ფასდება ტესტების, სემინარების, პროექტებისა და მათი პრეზენტაციების, ასევე პრაქტიკის ანგარიშის მეშვეობით;<br><br>2.4-2.5 უნარები ფასდება პრაქტიკული სავარჯიშოებისა და სიმულაციების მეშვეობით. |

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

| | |
|---|---|
| III. ზოგადი უნარები<br><br>3.1. ანალიზისა და შეფასების უნარების გამოყენება ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და გადაწყვეტილების მისაღებად;<br>3.2. პრაქტიკულ საქმიანობაში ავტონომიურობის დემონსტრირება; პერსონალური მიზნების დასახვა და დროისა და კონკრეტული ამოცანების მართვა დაგეგმილ ვადაში შესრულების მიზნებისათვის;<br>3.3. ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური ფორმით კომუნიკაცია თავისი პროფესიული საქმიანობის შესახებ, როგორც მშობლიურ, ასევე ინგლისურ ენაზე; | 3.1 ინტელექტუალური უნარები ვითარდება სემინარებსა და სადისკუსიო კლასებში ძირითადი საკითხების გარშემო დისკუსიებისა და კონცეფციების პრაქტიკაში გამოყენების მეშვეობით (პრაქტიკის ანგარიში), ასევე "ქეისების" ანალიზისა და ინტერპრეტაციების გზით, როგორც წერილობით ასევე ზეპირი ფორმით;<br>3.2 უნარის გამომუშავება ხდება არა კონკრეტულ ლექციასა და სემინარზე, არამედ დავალებების, გამოცდების დადგენილ ვადაში ჩაბარებით;<br>3.3-3.5 უნარების განვითარება ხორციელდება ძირითადი სემინარებისა და პრაქტიკაზე ჯგუფური პროექტების, დისკუსიებისა და პრეზენტაციების მეშვეობით; |

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

| | |
|---|---|
| 3.4. ჯგუფში ეფექტურად მუშაობა, აქტიური მონაწილეობა ჯგუფურ დისკუსიებში, პასუხისმგებლობის აღება თავისა და სხვების მიერ შესრულებულ სამუშაოზე;<br>3.5. კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის დემონსტრირება;<br>3.6. საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენება;<br>3.7. მცირე (სამეწარმეო) პროექტის შემუშავება და განხორციელება. | 3.6 უნარის განსავითარებლად გამოიყენება თავდაპირველად პრაქტიკული კლასები. აღნიშნული კომპეტენციის შემდგომი განვითარება ხდება სხვადასხვა დისციპლინებში დავალებების შესრულებით (მონაცემთა ბაზები, სხვადასხვა ტიპის გრაფიკების შემუშავება, ასევე ბიუჯეტის შედგენა და სხვ.)<br>3.7-სთვის გამოიყენება ლექცია, სემინარი, ჯგუფური და ინდივიდუალური პროექტი. |

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

შეფასება:

31. შეფასებისთვის გამოიყენება საკურსო სამუშაო, პროექტიდა მისი პრეზენტაცია, “ქეისები”, ჯგუფური დისკუსიები; აუცილებელია ინდივიდუალური უკუკავშირი სტუდენტებთან, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით. “დროის ორგანიზების უნარი” ფორმალურად არ ფასდება;

3.3 და 3.6 პრეზენტაცია, საკურსო, პროექტი;

3.4-3.5, 3.7 ჯგუფური და ინდივიდუალური პროექტები.

# თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- საკონტაქტო ინფორმაცია:

ირინე დარჩია

irinedarchia@tsu.ge

## თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- გმადლობთ ყურადღებისთვის